

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №17**

ქ. თბილისი

19.03.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის თავმჯდომარე.

ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი.

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს :გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამტავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ანდრო მაისურაძე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ელგუჯა მემდარიაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

მარინა ჯავახიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27³ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, ასევე საბჭოს სხდომაზე დამსწრე დაწესებულებების წარმომადგენლებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა ხომ არ იყო წარმოდგენილი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგის პროექტში წარმოდგენილ 1-ლ, მე-2 და მე-3 საკითხებთან დაკავშირებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ა(ა)იპ-

საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინეს შუამდგომლობები მათი საკითხების გადადების შესახებ.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი.

1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.



1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამხედრო ინჟინერია
კვალიფიკაციის დონე	მე-8 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი 1114
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს წევრებმა, სალომე თოთიბაძემ და დენიტა ბიბილეიშვილმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, ვინაიდან მათ ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი აკრედიტაციის მადიებელ უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც არ იმყოფებოდა ქვეყანაში სხდომაზე ჩაერთვებოდა სკაიპის საშუალებით.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ჯგუფის მიერ პროგრამა დადებითად შეფასდა და ჯგუფს არ ჰქონდა შემუშავებული მასთან დაკავშირებით რეკომენდაციები, არამედ მხოლოდ რჩევები, რომლებიც შემდეგ საკითხებს შეეხებოდა:

- ორმაგი სადოქტორო პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს საუნივერსიტეტო, სამოქალაქო-სამხედრო და/ან საერთაშორისო თანამშრომლობას.
- პროგრამაზე დაშვების შემდეგ წინაპირობას - „კანდიდატს, რომელსაც მიღებული აქვს განათლება ნებისმიერ ზემოთ აღნიშნულ უცხოურ ენაზე, არ მოეთხოვება ენის ცოდნის

დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა" - და ამ წინაპირობის მხოლოდ იმ აპლიკანტების შემთხვევაში გამოყენებას, რომლებმაც მინიმუმ 120 კრედიტიანი კურსები გაიარეს.

- იმ კანდიდატების გათავისუფლებას კურსიდან და გამოცდიდან, რომლებიც დაადასტურებენ, რომ აქვთ კურსების 1-დან 7-მდე სასწავლო კომპონენტის ცოდნა, რათა დროის დაკარგვის გარეშე განახორციელოს კვლევა.

- დასაქმების სფეროების ნუსხის შეზღუდვების საჭიროების არარსებობას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამის ისტორიაზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 1990 - იან წლებში შეიქმნა სახელმწიფო საინჟინრო ცენტრი, ხოლო 2000 წელს შეიქმნა სამხედრო საინჟინრო აკადემია, რომელიც ფუნქციონირებდა 2006 წლამდე. მისი თქმით, ბოლონიის პროცესში ჩართვის შემდეგ, დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ მეტად აკადემიური სახე მიეცა სამხედრო ინჟინერიის სწავლებისათვის და გადაწყდა, რომ შექმნილიყო სადოქტორო პროგრამა, რომელზეც პირველ ეტაპზე უპირობოდ იღებდნენ ოფიცრებს და ასევე სამოქალაქო პირებსაც, თუმცა მომდევნო ეტაპზე გადაწყდა, რომ მიღებისათვის დაწესებულიყო გარკვეული წინაპირობები, რადგან სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაბამისი წინარე ცოდნა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელშიც 7000 - ზე მეტი ტერმინი იყო შესული. მან ასევე აღნიშნა, რომ იდგა სამეცნიერო კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოს შექმნა სამხედრო ხელოვნებაში, რომელიც, მისი თქმით, იშვიათობას წარმოადგენდა და ასევე, პროგრამის ფარგლებში რიგმა ავტორებმა თავად შექმნეს მოცემული წიგნი. მან ასევე ხაზი გაუსვა კიდევ რამდენიმე წიგნის შექმნას აღნიშნულ დარგში პროგრამის მესვეურების მიერ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მოქმედი დოქტორანტების დისერტაციების თემატიკები ეხებოდა საქართველოს თავდაცვისათვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს, საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში ხელმძღვანელობდა ექსპერტთა ჯგუფს იყო ასევე სამხედრო, რომელმაც კარგად გაიგო პროგრამის მიზნები და ჩანაფიქრი, რადგან, მისი თქმით, ქვეყნების უმრავლესობაში სამხედრო ინჟინრები მნიშვნელოვანწილად არიან ჩართულები სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებულ საკითხებთან. მან აღნიშნა, რომ პროგრამა თავიდან-ბოლომდე მოიცავდა თითქმის ყველა შესაძლო კრიზისულ სიტუაციას. მან ახსენა პროგრამის ფარგლებში ბოლო დროს დაცული რამდენიმე დისერტაცია, რომლებიც ეხებოდა საქართველოს სამხედრო საინჟინრო რუკას, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რუკებს, ასევე საქართველოს საჰაერო კოსმიური თავდაცვის სისტემებს, რომელიც შეეხებოდა მცირე ზომის თანამგზავრებს, რის შექმნასა და გამოყენებასაც, მისი თქმით, ახალისებდა აშშ და ნატო, რადგან მცირე ზომის თანამგზავრები დაეხმარებოდა პატარა ქვეყნებს, რომ უფრო ეფექტურად ემართათ სხვადასხვა კრიზისული სიტუაცია, მათ შორის ხანძრები და ა.შ. მან აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევები არსებობდა საქართველოს მეზობელ ქვეყნებშიც, მაგალითად აზერბაიჯანში. მისი თქმით, ამ დისერტაციის შექმნის შემდეგ, პროგრამის მესვეურებმა აქტიურად დაიწყეს საკითხის დასმა შესაბამის ორგანოებში. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოიცემოდა თემატური ჟურნალიც, სადაც შედიოდა პროგრამის დოქტორანტების სტატიები, ის სრულად ეთანხმებოდა და იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რჩევებს.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლოური დაინტერესდა შეეძლო თუ არა პროგრამის კურსდამთავრებულს, რომელიც იყო სამოქალაქო პირი, ემუშავა სამხედრო მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეეძლო და იყო კიდევ მსგავსი შემთხვევა. საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია დაინტერესდა, იყო თუ არა დისერტაციის დაცვები საჯარო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ უსდ-მ გადაწყვიტა, არ ყოფილიყო დაცვები საჯარო, რადგან ხშირ შემთხვევაში დისერტაციები შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას, თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ სამეცნიერო სიახლეების გასაჯაროება მაინც ხდებოდა. (49:00). მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მომზადებისას რეცენზიები იყო მიღებული სხვადასხვა ევროპული ქვეყნების მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომლებიც, მისი თქმით, მზად იყვნენ პროგრამასთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა პროგრამის დაშვების წინაპირობებით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამაზე პირველ რიგში იღებდნენ სამხედრო პირებს და ასევე სამოქალაქო პირებსაც, რომლებსაც წინარედ მიღებული ჰქონდათ საინჟინრო განათლება.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ ეს სპეციფიური დარგი იყო და დაინტერესდა მხოლოდ სამხედრო ინჟინრები იყვნენ დოქტორანტების ხელმძღვანელები, თუ სხვა სამოქალაქო დარგების წარმომადგენელ ინჟინრებსაც შეეძლოთ ხელმძღვანელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პირველ ეტაპზე ის იყო სამხედრო ინჟინერიის ერთადერთ დოქტორი საქართველოში, თუმცა პროგრამის ამოქმედების შემდეგ დოქტორების რაოდენობა გარკვეულწილად გაიზარდა დარგში. მან აღნიშნა, რომ იგი ცდილობდა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზეც შემოსულიყო სამხედრო ინჟინერიის დარგის სპეციფიკა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა შეეძლოთ თუ არა განსხვავებული დარგების წარმომადგენელ ინჟინრებს სამხედრო ინჟინრების ხელმძღვანელობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ შეეძლოთ, რადგან ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო ამ დარგში და დაამატა, რომ უკვე მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულები ხელმძღვანელობდნენ ახალ დოქტორანტებს.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა, თუ რომელი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამები იყო გათვალისწინებული მოცემულ პროგრამაზე მუშაობის პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დასავლურ ქვეყნებში სამხედრო ინჟინერიის პროგრამები ძირითადად არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა მან აღნიშნა, რომ კერძო და საქმიანი კონტაქტების საშუალებით პროგრამის მესვეურები დაუკავშირდნენ სხვადასხვა ევროპული ქვეყნების დაწესებულებების წარმომადგენლებს, მათს შორის, უნგრეთის, გერმანიის და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით კოლოქვიუმებისათვის დოქტორანტებს ენიჭებოდათ კრედიტები და დაინტერესდა თუ რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე N3 ბრძანების მიხედვით ხდებოდა კრედიტების მინიჭება და თუკი ეს უკანასკნელი შეიცვლებოდა, მდგომარეობა დაწესებულებაშიც შეიცვლებოდა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა შენიშნა, რომ ჩანაფიქრი იყო ის, რომ დისერტაცია უნდა შეფასებულიყო ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ როდესაც შეიცვლებოდა N3 ბრძანება დაწესებულებაშიც შეიცვლებოდა მოცემულობა.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ ეს იყო ზოგადი პრობლემა და მხოლოდ მოცემულ პროგრამას არ ეხებოდა და შეიძლებოდა მოცემულ საკითხზე მსჯელობა გაგრძელებულიყო სხვა გარემოშიც.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ იკითხა, იყო თუ არა დაშვების წინაპირობად განსაზღვრული ინგლისური ენის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ წინაპირობა იყო ენის B2 დონეზე ცოდნა.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა თუ რამდენად იყო ეს დონე საკმარისი დარგობრივი ლიტერატურის გასაგებად და იკითხა ხომ არ სთავაზობდნენ დამატებით კურსებს დარგობრივი ინგლისურის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა დამატებითი არჩევითი კურსები და აღნიშნა, რომ როგორც წესი ენის მიმართულებით არ იქმნებოდა პრობლემა.

საბჭოს სხდომაზე 17:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა დაწესებულებას, რომ დაეხვეწა კვლევითი კომპონენტის კრედიტების დაანგარიშების საკითხი და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია წარმოედგინა აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებულ თვითშეფასების ანგარიშში, რომელსაც დაწესებულება ცენტრში წარადგენდა არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ.

17:30 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

ლევან გორდეზიანი



მდივანი:

ნინო ლიპარტია

